**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისია**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №33

06/10/2020 **ქ. ბათუმი**

**ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1.დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელი;
ბ) საარჩევნო ბიულეტენი პროპორციული სისტემით არჩევნებისათვის;
გ) საარჩევნო ბიულეტენი მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისათვის;
დ) საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი A2 ფორმატი, (საოლქო პროპორციული);
ე) საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების სადემონსტრაციო ოქმი A2 ფორმატი, (საოლქო მაჟორიტარული);
ვ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი A2 ფორმატი, (საუბნო პროპორციული);
ზ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი A2 ფორმატი, (საუბნო მაჟორიტარული);
თ) საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო პროპორციული);
ი) საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო მაჟორიტარული);
კ) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო პროპორციული);
ლ) საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო მაჟორიტარული);
მ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი;
ნ) საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი;
ო) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი;
პ) საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი.

**2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი